**შპს ''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის მიმდინარე წლის საქმიანობის გეგმისა და დაფინანსებების წყაროების შესახებ.**

დაფინანსება ხდება დამფუძნებლის მიერ სადამფუძნებლოს კაპიტალის შევსების მეშვეობით

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის მიზნები და ამოცანები**

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის** მიზანია მაყურებელს მივაწოდოთ დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაცია.

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის** მიზანია ხელი შეუწყოს საუკეთესო პროექტების ავტორებს თავიანთი ჩანაფიქრის რეალიზებაში;

**"ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის** ამოცანაა შექმნას სხვადასხვა მუსიკალურ გასართობი გადაცემები;

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის** ამოცანაა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოიძიოს ის ფონდები, ორგანიზაციები და საქველმოქმედო კავშირები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საქველმოქმედო პროექტები.

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის** ამოცანაა შექმნას ახალგაზრდებისთვის მრავალფეროვანი და განმავითარებელი გადაცემები

**"ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის** მიზანია მოახდინოს პროექტების, მიზნების განხორციელება, რომლებიც არსებულ კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება, ასევე პოპულარიზაცია გაუწიოს საუკეთესო პროექტებს და წინადადებებს "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის სხვადასხვა ეთერის საშუალებით და ასევე "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის ვებ-გვერდზე.

**"ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის** ამოცანაა შექმნას სხვადასხვა პოლიტიკური თოქ-შოუ;

**''ტელე-რადიო კომპანია ტვ 24''-ის** მიზანია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა შესაძლებლობების ფარგლებში;

**"ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის კონცეფცია**

"ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის კონცეფციას წარმოადგენს მაუწყებლობა საქართველოს ფარგლებში. კონცეფცია მოიცავს მაყურებლისთვის მრავალფეროვანი ფორმატისა და შინაარსის გადაცემების მომზადებას. "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24"-ის ეთერში წარმოდგენილი იქნება :

**გასართობი პროგრამები** - სხვადასხვა ვიქტორინები, კონკურსები, რეალითი შოუები და გადაცემები. საავტორო პროგრამები - მოწვეული იქნებიან ავტორები სხვადასხვა სოციალური ფენიდან. ავტორებს საშუალება მიეცემათ მოამზადონ გადაცემა თავისი შეხედულებისამებრ, სადაც შეძლებენ გამოთქვან თავიანთი სუბიექტური აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე ტელევიზიის თემატიკის ფარგლებში.

**მუსიკალური** - პოპულარიზაციას გავუწევთ ქართულ ფოლკლორს, ესტრადას. ჩვენს ეთერში ხშირად იტრიალებს ქართველი პოპ შემსრულებლების სიმღერები. ვეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქართული შოუ ბიზნესის განვითარებაში.ასევე მუსიკალური გადაცემები.

**სპორტული** - საფეხბურთო მატჩები , მატჩების მიმოხილვა , სხვა სპორტის სახეობების მიმოხილვა, მოწვეული იქნება გადაცემებში სპორტის წარმომადგენლები.

**შემეცნებითი** - მომზადდება გადაცემები, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები და ისაუბრებენ სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობაზე და განვითარებაზე.

**ბიზნესი** - მომზადდება გადაცემები, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები , ისაუბრებენ მათ საქმიანობაზე და განვითარებაზე.

**პოლიტიკა** - მომზადდება თოქ შოუ, მოწვეული იქნება გადაცემებში სხვადასხვა პოლიტიკის წარმომადგენლები და არა მარტო პოლიტიკოსები, ისაუბრებენ მიმდინარე პოლიტიკურ შიდა და საერთაშორისო მოვლენებზე.

ტელევიზია "ტელე-რადიო კომპანია ტვ 24" ეფუძნება მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვასა და მაყურებლისათვის დადებითი/პოზიტიური განწყობის შექმნას.

“ტელე-რადიო კომპანია ტვ 24”-ის ეთერში არ დაიშვება ძალადობა,დისკრიმინაცია რელიგიური და სოციალური ნიშნით, დიდი ყურადღება დაეთმობა ეროვნულ და კულტურულ ღირებულებებს.

შპს ‘’ტელე-რადიო კომპანია ტვ 24’’-ის დირექტორი
ნანა ლეჟავა